შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205034639) დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/კ 205034639, რეგისტრაციის ნომერი - 80407) „მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 05 თებერვლის №16/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2,000 (ორი ათასი) ლარით დააჯარიმა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).